ერთობლივი საქმიანობის ბინათმშენებლობის ამხანაგობა

„ეკო დიღომი"-ს

გამგეობის წევრთა კრების

ო ქ მ ი

ქ. თბილისი

29/01/2020წ.

კრებას ესწრებოდა: ერთობლივი საქმიანობის ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ეკო დიღომი"-ს გამგეობის წევრთა სრული შემადგენლობა (100%)

კრების თავმჯდომარე: ციცინო ფალავანდიშვილი (პ/ნ01021004810)

კრების მდივანი: ზურაბ გურასაშვილი (პ/ნ#01030001125)

დღის წესრიგი:

შპს „ფ.ს.გ" (ს/კ#406140297)-სათვის თანხმობის მიცემა, შპს „მოდერნ სითი დეველოპმენტი"-სათვის (ს/კ#405354085) უძრავი ქონების ნასყიდობის და მშენებლობის განხორციელების შესახებ.

(მომხსენებელი ც. ფალავანდიშვილი)

მოისმინეს: ამხანაგობის და კრების თავმჯდომარის ინფორმაცია, რომელიც აღნიშნავს, რომ ამხანაგობამ უძრავი ქონება (ს/კ#01.72.14.009.259)გადასცა შეზღუდულ საკუთრებაში შპს „ფ.ს.გ" -ს(ს/კ#406140297)- რომელიც იგივე ვალდებულებებით რაც წარმოეშვა ამხანაგობის წინაშე გადასცემს შპს „მოდერნ სითი დეველომპენტს" (ს/კ405054085) ამისათვის აუცილებელია ამხანაგობის თანხმობა.

დაადგინეს:

მიეცეს ე.ს ამხანაგობა „ეკო დიღომის" სახელით, შპს „ფ.ს.გ" (ს/კ#406140297) მის შეზღუდულ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე: ქ თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-12 კმ, (ნაკვეთი 09/259) ს/კ#01.72.14.009.259 განცხადების რეგისტრაციის #902019922847, ასევე დატვირთული ვალდებულებებით გადასცეს შპს „მოდერნ სითი დეველოპმენტ"-ს (ს/კ#405354085) იურიდიული მისამართი: ქ თბილისი, პეტრე იბერი 24, ბლოკი ბ, ბ 36, უძრავი ქონების ნასყიდობისა და მშენებლობის განხორციელების შესახებ ხელშეკრულებით.

კრების თავმჯდომარე: ციცინო ფალავანდიშვილი (პ/ნ01021004810)

კრების მდივანი: ზურაბ გურასაშვილი (პ/ნ#01030001125)

გამგეობის წევრები:

ციცინო ფალავანდიშვილი (პ/ნ01021004810)

ზურაბ გურასაშვილი (პ/ნ#01030001125)

გრიგოლ კალანდაძე (პირადი#0100206868

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
თარიღი 30 იანვარი 2020
ს/კ 01

უძრავი ქონების ნასყიდობისა და მშენებლობის

განხორციელების შესახებ ხელშეკრულება

30 იანვარი, 2020 წელი

ერთი მხრივ, „გამყიდველი“ - შპს „ფ.ს.გ.“ (ს.კ. 406140297, იურიდიული მისამართი: თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის ქ. №147ა, ბ. 2), წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ ფირცხალაიშვილის (პ.ნ. 26001000399) მიერ

და

მეორე მხრივ, „მყიდველი“ - შპს „მოდერნ სითი დეველოპმენტი“ (ს.კ. 405354085 იურიდიული მისამართი: თბილისი, პეტრე იბერი 24, ბლოკი ბ, ბ. 36), წარმოდგენილი დირექტორის ლევან ევგენიძის (პ.ნ. 01007002156)

„გამყიდველი“ და „მყიდველი“ შემდგომ ტექსტში ცალ-ცალკე ასევე მოხსენიებული არიან როგორც „მხარე“ ან ერთობლივად როგორც „მხარეები“.

ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. „ხელშეკრულება“ – წინამდებარე ხელშეკრულება უძრავი ქონების ნასყიდობისა და მშენებლობის განხორციელების შესახებ;

2. „მხარე(ები)“ – ამ ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი პირები: „გამყიდველი“ და მყიდველი“;

3. „მესამე პირი“ – ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი გარდა ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებისა;

4. „ამხანაგობა“ – ე.ს. ამხანაგობა „ეკო დიღომი“, რომლიც მითითებულია საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის №902019922847) ვალდებულების გრაფაში და რომელსაც უნდა გადაეცეს 4810 კვ.მ. (თეთრი კარკასი) და 15 ავტოსადგომი;

5. „მიწის ნაკვეთი“ ან „ნასყიდობის საგანი“ – გამყიდველის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის სარეგისტრაციო მახასიათებლებია:

სარეგისტრაციო ზონა – თბილისი (კოდი 01);
სექტორი – 72;
კვარტალი – 14;
ნაკვეთი – 009/259,
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.72.14.009.259
ნაკვეთის დანიშნულება – არასასოფლო-სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი – 10177.00 კვ.მ.
მისამართი – ქალაქი თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-12 კმ. (ნაკვეთი 09/259);

6. „საცხოვრებელი კომპლექსი“ – „მიწის ნაკვეთზე“ ასაშენებელი მრავალფუნქციური დანიშნულების შენობების კომპლექსი, რომელიც უნდა აშენდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, შეთანხმებული არქიტექტორული პროექტის შესაბამისად.

7. „კოეფიციენტი“ - კ2 კოეფიციენტი, რომელიც „გამყიდველის“ განცხადებით „მიწის ნაკვეთზე“ შეადგენს 3.6.-ს.

მუხლი 1. ნასყიდობის საგნის შესახებ

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „ნასყიდობის საგანს“ წარმოადგენს „გამყიდველის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება („მიწის ნაკვეთი“) რომლის სარეგისტრაციო მახასიათებლებია:
სარეგისტრაციო ზონა – თბილისი (კოდი 01);
სექტორი – 72;
კვარტალი – 14;
ნაკვეთი – 009/259,
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.72.14.009.259
ნაკვეთის დანიშნულება – არასასოფლო-სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი – 10177.00 კვ.მ.
მისამართი – ქალაქი თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-12 კმ. (ნაკვეთი 09/259)
1.2. „ნასყიდობის საგანი“ წარმოადგენს გამყიდველის საკუთრებას, იგი არ არის დაყადაღებული ან უფლებრივად დატვირთული, არ იმყოფება შეზღუდვის ან აკრძალვის ქვეშ (გარდა „ამხანაგობის“ სასარგებლოდ რეგისტრირებული ვალდებულებისა), რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 24.12.2019 წელს მომზადებული ამონაწერით, განაცხადის რეგისტრაციის №302019922847;

1.3. ნასყიდობის საგნის საკადასტრო საზღვრები რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში დაზუსტებული სახით, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის მიერ გაცემული საკადასტრო გეგმით, მომზადების თარიღი 16.02.2010, განაცხადის ნომერი 82010478947.

მუხლი 2. გარიგების შესახებ

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, „გამყიდველი“ ყიდის, ხოლო „მყიდველი“ ყიდულობს „ნასყიდობის საგანს“ და იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს „ნასყიდობის საგანზე“ საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა და ნასყიდობის საფასურის ანგარიშში აუშენოს და გადასცეს „გამყიდველს“ ამ ხელშეკრულების 3.2.-3.3 პუნქტებით გათვალისწინებული ფართები და ამ ხელშეკრულების 3.6. პუნქტით გათვალისწინებული თანხა.

მუხლი 3. ნასყიდობის საფასური და მისი გადახდის პირობები
3.1 მხარეთა შეთანხმებით, „ნასყიდობის საგნის“ მყიდველისათვის გადაცემის სანაცვლოდ, „მყიდველი“ იღებს ვალდებულებას ნასყიდობის საგანზე ააშენოს და გამყიდველს გადასცეს სასარგებლო ფართები ამ ხელშეკრულების 3.2-3.3 მუხლების პირობათა შესაბამისად და გადაუხადოს გამყიდველს ამ ხელშეკრულების 3.6. პუნქტით გათვალისწინებული თანხა.
3.2. „მყიდველი“ იღებს ვალდებულებას ააშენოს და „გამყიდველს“ ამ მუხლის 3.3. პუნქტის გათვალისწინებული წესით საკუთრებაში გადასცეს 5850.00 კვ.მ. ინდივიდუალური სარგებლობის (საცხოვრებელი, საზაფხულო) ფართი და 15 (თხუთმეტი) ავტოსადგომი მიწის ნაკვეთზე

ასაშენებელ საცხოვრებელ კომპლექსში ეტაპობრივად, განხორციელებული მშენებლობის შესაბამისად.

3.3. „მყიდველი“ ნასყიდობის საფასურის ანგარიშში გადასცემს „გამყიდველს“ წინამდებარე მუხლის 3.2. პუნქტით გათვალისწინებულ ფართს შემდეგი სახით: „გამყიდველს“ გადაეცემა 1040.00 კვ.მ. ინდივიდუალური სარგებლობის ფართს, ხოლო „ამხანაგობას“ - 4810.00 კვ.მ. ინდივიდუალური საკუთრების ფართს და 15 ავტოსადგომს.

3.4. ამ ხელშეკრულების 3.3 მუხლში მითითებული ფართების იდენტიფიცირება, ასაშენებელი ფართები და მათი განლაგება განისაზღვრება პროექტის დამტკიცებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მისი შეთანხმების შემდეგ, რასთან დაკავშირებითაც მხარეები გააფორმებენ დამატებით შეთანხმებას.

3.5. „გამყიდველი“ უფლებამოსილია „განშლის“ რეგისტრაციამდე და რეგისტრაციის შემდეგაც, შიდა ტიხრების გადაადგილების გზით, საკუთარი სურვილისამებრ შეცვალოს თითოეულ სართულზე მისი კუთვნილი ფართების და ბინების განლაგება, დაყოს ან გააერთიანოს ფართები, ისე რომ ცვლილება არ უნდა შეეხოს საცხოვრებელი კორპუსის ფასადს ან მის კონსტრუქციულ ნაწილს;

3.6. „მყიდველი“ გამყიდველს გადაუხდის 100 000 აშშ დოლარს (გადახდის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლის კურსით) შემდეგი სახით:

3.6.1. 10 000 აშშ დოლარის გადახდა მოხდება არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღეს;

3.6.2. 45 000 აშშ დოლარის გადახდა მოხდება არაუგვიანეს „მიწის ნაკვეთზე“ გრგ-ს დამტკიცებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

3.6.3. 45 000 აშშ დოლარის გადახდა მოხდება არაუგვიანეს „მიწის ნაკვეთზე“ ასაშენებელ უკლებლივ ყველა სახლზე მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

3.7. მხარეები ადასტურებენ, რომ ახლადაშენებულ მრავალბინიან სახლში ყველა სხვა ინდივიდუალურ ფართზე საკუთრების უფლება (გარდა 3.2-3.3 მუხლით გათვალისწინებული ფართებისა), სრულად და ერთპიროვნულად ექნება მხოლოდ „მყიდველს“ და „გამყიდველს“ აღნიშნულის მიმართ არ ექნება არავითარი პრეტენზია ან მოთხოვნა;

3.8. სამშენებლო „პროექტით“ გათვალისწინებული საერთო სარგებლობის ფართები: კიბის უჯრედი, სადარბაზო, სახურავი, ლიფტი და სხვა ფართები, რომლებიც „პროექტისა“ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენენ საერთო სარგებლობის ფართებს, მხარეთა შორის ინდივიდუალური საკუთრების წესით არ ნაწილდება და მასზე ვრცელდება საერთო საკუთრების უფლება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. მხარეთა ქმედებები (ვალდებულებები) ამ ხელშეკრულების აღსრულების მიზნით

მხარეები ამ ხელშეკრულების აღსრულების მიზნებისათვის იღებენ ვალდებულებას განახორციელონ შემდეგი ქმედებები:

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისა და „მიწის ნაკვეთის“ „მყიდველის“ სახელზე რეგისტრაციის შემდეგ, „მყიდველი“ დაიწყებს გრგ-ზე მუშაობას, გრგ-ს შესაბამის უწყებებთან შეთანხმების შემდეგ დაიწყებს ასაშენებელი სახლების პროექტირებაზე მუშაობას და სამშენებლო სამუშაოებს განახორციელებს მშენებლობის ნებართვის შესაბამისად.

4.2. „გამყიდველი“ კისრულობს ვალდებულება, გაწშლების შედგენისთანავე, უზრუნველყოს საჯარო რეესტრის ამონაწერის ვალდებულების გრაფაში რეგისტრირებული ვალდებულების მოხსნა ყველა ფართზე.

მუხლი 5. მშენებლობის მოცულობისა და ფართების ჩაბარების პირობების შესახებ

5.1. „მყიდველი“ „საცხოვრებელი კორპუსის“ მშენებლობის ნებისმიერ ეტაპზე („გამყიდველისათვის“ ფართების გადაცემამდე და ფართების გადაცემის შემდეგაც) უფლებამოსილია, ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად განახორციელოს შემდეგი ქმედებები: გაუძღვეს მრავალბინიანი სახლის სამშენებლო/საპროექტო სამუშაოებს, ისარგებლოს „დამკვეთის“ სტატუსით ნებისმიერ ფიზიკურ, იურიდიულ პირს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ან სასამართლოსთან ურთიერთობაში, ორგანიზება გაუწიოს სამშენებლო პროცესს, მიიღოს გადაწყვეტილებები საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირების შესახებ, (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საპროექტო დოკუმენტაცის კორექტირება უშუალოდ ეხება „გამყიდველზე“ გადასაცემ ფართებს), დაირეგისტრიროს ერთპიროვნულ საკუთრებაში კორექტირების შედეგად მიღებული ინდივიდუალური ფართი, უზრუნველყოს მრავალბინიანი სახლის მშენებლობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღების პროცესის განხორციელება, განახორციელოს ნებისმიერი სხვა ქმედება, რაც აუცილებელი იქნება ამ ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე.

5.2. „საცხოვრებელი კომპლექსის“ მშენებლობა უნდა განხორციელდეს მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული ვადების დაცვით. „გამყიდველს“ კუთვნილი ფართები უნდა ჩაბარდეს ე.წ „თეთრი კარკასის“ მდგომარეობაში, შემდეგ კონდიციაში:

5.2.1. გარე პერიმეტრზე ჩასმული მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები, დამონტაჟებული შესასვლელი რკინის კარი (საკეტით), შიდა ტიხრები ამოშენებული ბეტონის ბლოკით და გაჯით გალესილი, ელექტროობის შიდა გაყვანილობა - ყველა ოთახში (აბაზანა, ტუალეტი) 3 წერტილი, იატაკი მომანდაკებული ცემენტის ხსნარით. ელმომარაგების, წყალმომარაგებისა გაზმომარაგების ქსელში ჩართვის, გამრიცხველიანებისა და აბონირების სამუშაოებს აწარმოებენ შესაბამისი სამსახურები, რომელთანაც შესაბამისი საზღაურის გადახდას გახორციელებს კონკრეტული ბინის მესაკუთრე.

5.3. „მყიდველი“ უფლებამოსილია მრავალბინიანი სახლის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები შეასრულოს უშუალოდ ან/და კონტრაქტორი ორგანიზაციების მეშვეობით. სამუშაოთა უშუალო შემსრულებელს შეარჩევს და მასთან ხელშეკრულების პირობებს (მათ შორის, სამუშაოთა შესრულების ფასს) განსაზღვრავს მყიდველი თავისი შეხედულებისამებრ. ამასთან, შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, პროექტთან და სტანდარტებთან შესაბამისობაზე, მაკონტროლებელი ადმინისტრაციული ორგანოების მოთხოვნათა შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მყიდველს.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა და მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულად აღსრულებამდე;

6.2. იმ შემთხვევაში, თუ „მიწის ნაკვეთზე“ „გრგ“-ს, პროექტის შეთანხმება ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდება 3.6.-ზე ნაკლები „კოეფიციენტით“, „მყიდველი“ უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა, გამყიდველისათვის გადახდილი თანხის, გრგ-ს და პროექტირებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება. ასეთ შემთხვევაში, „გამყიდველი“ ვალდებულია არაუგვიანეს 30 სამუშაო დღის ვადაში სრულად აუნაზღაუროს „მყიდველს“ მოთხოვნილი თანხები, რის შემდეგაც მოხდება „მიწის ნაკვეთის“ გამყიდველის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

6.3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე მუხლის 6.2. პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას „მყიდველი" არ მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას, მაშინ გამყიდველისათვის (მათ შორის „ამხანაგობისათვის") გადასაცემი ფართების ოდენობა შემცირდება შემცირებული „კოეფიციენტის"პროპორციულად.

6.4. წინამდებარე მუხლის 6.2. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „გამყიდველს" „მყიდველის" სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო 10 000 აშშ დოლარის ოდენობით.

6.5. იმ შემთხვევაში, თუ „მყიდველი" არ ახორციელებს არანაირ ქმედებას ამ ხელშეკრულების შესრულების მიზნით და აშკარაა, რომ მომავალშიც არ/ვერ განახორციელებს მსგავს ქმედებებს, „გამყიდველი" უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა და „მყიდველს" სრულად დაუბრუნოს გადახდილი თანხა და სრულად აუნაზღაუროს გრგ-ს და პროექტირებისათვის გაწეული ხარჯები. ასეთ შემთხვევაში, „გამყიდველი" ვალდებულია არაუგვიანეს 30 სამუშაო დღის ვადაში სრულად აუნაზღაუროს „მყიდველს" მოთხოვნილი თანხები, რის შემდეგაც მოხდება „მიწის ნაკვეთის" გამყიდველის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

6.6. იმ შემთხვევაში თუ მშენებლობის დაწყებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში აღმოჩნდა, რომ მიწის ნაკვეთს გააჩნია ისეთი სახის დაფარული გამოუსწორებელი ნივთობრივი ნაკლი, რომელიც ხელს შეუშლის მშენებლობისთვის მის გამოყენებას, მხარეებს შორის განხორციელდება ორმხრივი რესტიტუცია და შესაბამისად გამოიყენება ამ მუხლის 6.2. პუნქტი.

მუხლი 7. ფორს მაჟორი

7.1. იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად ხელშეკრულების ან რომელიმე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება შეზღუდულია ან შეუძლებელი გახდა ისეთი გარემოებათა გამო, რომელზეც ხელშეკრულების მხარის კონტროლი არ ვრცელდება და ეს გარემოებები უშუალო კავშირშია ხელშეკრულების, ან რომელიმე სახელშეკრულებო ვალდებულების მხარეთა მიერ შესრულებასთან, კერძოდ:

ხანძარი, აფეთქება, ეპიდემია, ქარიშხალი, მეწყერი, წყალდიდობა ან ნებისმიერი სხვა მსგავსი სახის ბუნებრივი მოვლენა;

ომი, სახელმწიფო თუ სამხედრო გადატრიალება, სამოქალაქო არეულობა, ბლოკადა ან სხვა მსგავსი სახის მოვლენა ან/და მათგან გამომდინარე შედეგები;

ასევე საქართველოს ხელისუფლების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი ან/და სასამართლო) აქტები, გადაწყვეტილება ან დადგენილება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ იქნა გამოცემული;

ან/და ნებისმიერი ისეთი გარემოება, რომელზეც მხარეთა კონტროლი არ ვცელდება და რის გამოც, მხარეს ობიექტურად არ გააჩნია ან შეზღუდული აქვს შესაძლებლობა შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მაშინ ასეთი მხარე ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედებისა და ამ მოვლენების აღმოფხვრის შედეგების აღმოფხვრისათვის საჭირო ვადაში განთავისუფლდება ხელშეკრულებით, ან მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობისაგან.

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას ვალდებული მხარე დაუყოვნებლივ აცნობებს მეორეს ფორს მაჟორული გარემოების დადგომის შესახებ, ყოველგვარ ძალისხმევას მიმართავს მსგავსი გარემოების თავიდან ასაცილებლად და ფორს მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტისთანავე დაუყოვნებლივ განაახლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულად აღსრულებამდე.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულება ფორმდება 3 ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრს რეგისტრაციისათვის.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება, შესწორება და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი საჯარო რეესტრში წერილობითი ფორმით გაფორმების შემთხვევაში;

8.4. წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეთა შორის არსებული დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს საერთო სასამართლო;

8.5. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ჩაითვლება ბათილად, ამგვარი დებულების ბათილობა ზემოქმედებას არ მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულებების ქმედითობაზე.

8.6. ხელშეკრულების აღსრულებისათვის ყველა აუცილებელი შეტყობინება მხარეებს მიეწოდებათ წერილობითი ფორმით პირადად, დაზღვეული ფოსტით და/ან სანდო კურიერის მეშვეობით, იმ მისამართებზე, რაც მოცემულია ამ ხელშეკრულებაში.

მხარეთა ხელმოწერები:

„გამყიდველი“
შპს „ფ.ს.გ.“
(ს.კ. 406140297)
დირექტორი:
ზურაბ ფირცხალაიშვილი

„მყიდველი“
შპს „მოდერნ სითი დეველოპმენტი“
(ს.კ. 405354085)
დირექტორი:
ლევან ევგენიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მოდერნ სითი დეველოპმენტი

405354085

პარტნიორთა კრების ოქმი

2020 წლის 30 იანვარი

2020 წლის 30 იანვარს ჩატარდა შპს „მოდერნ სითი დეველოპმენტის" პარტნიორთა კრება.

კრებას ესწრებოდნენ შემდეგი პარტნიორები:
- მუროდჯონ შაკიროვი (პ.ნ. 01097001115) – წილის 70%-ის მესაკუთრე;
- ლევან ევგენიძე (პ.ნ. 01007002156) – წილის 30%-ის მესაკუთრე.

კრების თავმჯდომარე: მუროდჯონ შაკიროვი

krebis dRis wesrigi:

1. უძრავი ქონების შეძენის საკითხი;

კრებამ გადაწყვიტა:

1. კომპანიის მიერ შეძენილ იქნეს შემდეგი უძრავი ქონება: 10177.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მდებარე თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. (ნაკვეთი 09/259), საკადასტრო კოდი: 01.72.14.009.259

გადაწყვეტილება მიღებულია.

Общество с Ограниченной Ответственностью

Модерн Сити Девелопмент

405354085

ПРОТОКОЛ СОБРАНИЯ ПАРТНЕРОВ

30 января 2020 года

30 января 2020 года состоялось собрание партнеров ООО «Модерн Сити Девелопмент».

На собрании присутствовали партнеры:
- Муроджон Шакиров (личный №01097001115) - собственник 70% доли
- Леван Евгенидзе (личный №01007002156) - собственник 30% доли.

Председатель собрания: Муроджон Шакиров

<u>Распорядок дня собрания</u>:

1. Вопрос о приобретении недвижимого имущества.

<u>Собрание решило:</u>

1. Приобрести недвижимое имущество: площадь 10177.00 кв.м, Тбилиси, аллея Давида Агмашенебели, 12 км. (участок 09/259), кадастровый код: 01.72.14.009.259

Решение считается принятым.

მუროდჯონ შაკიროვი
Муроджон Шакиров

Муроджон Шакиров

ლევან ევგენიძე
Леван Евгенидзе

ლევან ევგენიძე

თარჯიმანი: ეკატერინე იობიძე
პ/ნ: 01010001231

Переводчик: Екатерина Иобадзе -
п/н: 01010001231

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შემავალი №767
თარიღი 31-იანვარი 2020წ.
გვ.რაოდენობა 1 ხელმოწერა

ნასყიდობისა და წინარე ნასყიდობის შესახებ

(უძრავი ქონების შეზღუდულ საკუთრებაში გადაცემისა და სანაცვლოდ ახლადაშენებული ბინის გადაცემის შესახებ)

ნაწილი I. საერთო დებულებათა შესახებ

მუხლი 1. მხარეებისა და ტერმინების შესახებ

1. წინამდებარე გარიგების მხარეები არიან:

ა) პირველი მხარე: ე.ს.--ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ეკო დიღომი" (საკადასტრო კოდი 01.72.14.009.259), ე.ს.ა "ეკო დიღომი"-ის ხელმოწერულება №191448863, დამოწმების თარიღი 28.11.2019წ., ნოტარიუსი ქ. ოდილავაძე), რომელსაც წარმოადგენს ამხანაგობის თავჯდომარე ციცინო ფალავანდიშვილი (პ/ნ 01021004810) და გამგეობის წევრები: ზურაბ გურასაშვილი (პ/ნ 01030001125) და გრიგოლ კალანდაძე (პ/ნ 01002006868)

ბ) მეორე მხარე: მეორე მხარე: შპს „ფ.ს.გ." (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 26/02/2015 - წ. საიდენტიფიკაციო კოდი: 406140297 , იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ბოგდან ხმელინცკის ქ. N147ა, ბ. N2 რომელსაც წარმოადგენს მისი დირექტორი ზურაბ ფირცხალაიშვილი (დაბადებული 20/03/1978 წ , პირადი №26001000399, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. 147ა, ბინა N2) და მისი უფლებამოსილება უნაკლოა, რაც დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით:

ა) ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „ფ.ს.გ." -ის შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, ამონაწერის მომზადების თარიღი: B19130312, 20/11/2019 16:19:15);

ბ) შპს „ფ.ს.გ" -ის წესდება (დამოწმებული 26/02/2015 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ).

2. მეორე მხარის წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება უნაკლოა: მას აქვს მეორე მხარის სახელით ნებისმიერი გარიგების დადების უფლებამოსილება.

მუხლი 2. ტერმინების შესახებ

1. წინამდებარე აქტში გამოყენებული შემდეგი ტერმინები აღნიშნავს:

ა) „უძრავი ქონება“: მიწის ნაკვეთი, რომელსაც პირველი მხარე საკუთრების უფლებით, წინამდებარე აქტით დადგენილი წესითა და პირობებით, საკუთრებაში გადასცემს მეორე მხარეს.

ბ) „ბინა“: შენობა-ნაგებობის იზოლირებული ინდივიდუალიზებული ნაწილი, რომელიც მეორე მხარემ უნდა ააშენოს და წინამდებარე აქტით დადგენილი წესითა და პირობებით, საკუთრების უფლებით უნდა გადასცეს პირველ მხარეს.

გ) „მიწის ნაკვეთი“: ტერიტორია, სადაც უნდა აშენდეს შენობა–ნაგებობა.

დ) „შენობა-ნაგებობა“ (კორპუსი): ქვის კაპიტალური ნაგებობა, რომელიც უნდა ააშენოს მეორე მხარემ და რომლის იზოლირებული ინდივიდუალიზებული ნაწილი უნდა გადასცეს პირველ მხარეს.

ე) „მესამე პირი“: ნებისმიერი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი, გარდა მხარეებისა.

ვ) „გონივრული ვადა“: დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში ბრალეული გაჭიანურების გარეშე ჯეროვანი და კეთილსინდისიერი ძალისხმევით შესაძლებელია ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულების (მოქმედების) შესრულება.

ზ) "სტანდარტი“: „თეთრი კარკასის“ მდგომარეობა მოთხოვნების ერთობლიობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მეორე მხარის მიერ შესრულებული ბინის მიმართ და რომელიც დადგენილია სახელმწიფოს მიერ.

თ) „დროული გაფრთხილება“: წერილობითი შეტყობინება ამ შეტყობინების ვალდებულების წარმოშობიდან 48 (ორმოცდარვა) საათის განმავლობაში.

2. წინამდებარე აქტში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი მნიშვნელობა.

მუხლი 3. ხელშეკრულების დადების მოტივაციისა და მხარეთა მიზნების შესახებ

1. პირველ მხარეს საკუთრების უფლებით ეკუთვნის მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია პირველი მხარეს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის პირველ მხარეს, არ აკმაყოფილებს პირველი მხარის მოთხოვნებს და, შესაბამისად, პირველ მხარეს სურს თავისუფალ მიწის ნაკვეთზე აშენდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი. ამასთანავე, პირველი მხარის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს აქვს მნიშვნელოვანი ღირებულება, რაც იძლევა მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის (კორპუსის) აშენებისა და ამ შენობა-

ნაგებობის (კორპუსის) ინდივიდუალიზებული (იზოლირებული) ნაწილის – ბინის პირველი მხარისათვის გადაცემის შესაძლებლობას ისე, რომ პირველი მხარისათვის გადაცემული ბინა იქნება პირველი მხარის ინტერესების შესატყვისი.

2. მეორე მხარეს მიაჩნია, რომ მის ბიზნეს-ინტერესებს სრულად შეესატყვისება პირველი მხარის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის (კორპუსის) აშენება და ამ შენობა-ნაგებობის (კორპუსის) ინდივიდუალიზებული (იზოლირებული) ნაწილის – ბინის პირველი მხარისათვის გადაცემა ისე, რომ პირველი მხარისათვის გადაცემული ბინა იქნება პირველი მხარის ინტერესების შესატყვისი.

3. ამ მუხლის წინა პუნქტებში მითითებული წანამძღვრების გათვალისწინებით მხარეებს შესაძლებლად მიაჩნიათ, ითანამშრომლონ ურთიერთსასარგებლო საწყისებზე ისე, რომ ორმხრივად და გაწონასწორებულად იყოს დაცული ორივე მხარის ინტერესები და სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში სრულად იქნას მიღწეული ორივე მხარის მიზანი: პირველმა მხარემ მიიღოს მისთვის მისაღები პარამეტრების (მახასიათებლების) მქონე ბინა და ამ გზით გაიუმჯობესოს თავისი საყოფაცხოვრებო-მატერიალური პირობები, ხოლო მეორე მხარემ განახორციელოს წარმატებული ბიზნეს–პროექტი.

მუხლი 4. მხარეთა სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი

1. მხარეთა მიერ გაცხადებული მიზნების მისაღწევად (ამ ხელშეკრულების მესამე მუხლის მესამე პუნქტი) მხარეებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ თავიანთი ურთიერთობის წარმართვა შემდეგი გზით:

ა) პირველი მხარე საკუთრების უფლებით მეორე მხარეს გადასცემს (მიჰყიდის) თავის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, ხოლო მეორე მხარე მიიღებს (იყიდის) ამ უძრავ ქონებას საკუთრებაში.

ბ) მეორე მხარე ამ მიწის ნაკვეთზე ააშენებს შენობა-ნაგებობას, რომლის იზოლირებულ ინდივიდუალიზებულ ნაწილსაც საკუთრებაში გადასცემს (მიჰყიდის) პირველ მხარეს. ამასთანავე, ბინას ექნება მხარეთა შორის შეთანხმებული ყველა მახასიათებელი (პარამეტრი).

2. მხარეთა შორის ურთიერთობას აქვს სასყიდლიანი ხასიათი: პირველი მხარე მეორე მხარეს თავის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას საკუთრებაში გადასცემს სასყიდლით; ასევე მეორე მხარე პირველ მხარეს ახლადაშენებულ ბინას გადასცემს

სასყიდლით. ამასთანავე, მხარეები ერთმანეთის მიმართ შესასრულებელ ვალდებულებებს აფასებენ ტოლფარდოვნად, კერძოდ, მხარეები მიიჩნევენ, რომ პირველი მხარის მიერ მეორე მხარისათვის გადასაცემი უძრავი ქონების ღირებულება და მეორე მხარის მიერ პირველი მხარისათვის გადასაცემი ბინის ღირებულება ტოლფარდოვანია და არცერთ მხარეს არ ეკისრება დამატებითი კომპენსაციის გადახდის ვალდებულება.

3. ამ მუხლის წინა პუნქტიდან გამომდინარე, ვინაიდან ორივე მხარეს ერთმანეთის მიმართ აქვთ ვალდებულებები, მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემდეგ მხარეთა ვალდებულებები სრულად გაიქვითება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

4. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული ფართის გარდა, მეორე მხარეს უფლება აქვს დამოუკიდებლად, პირველი მხარისაგან ნებართვის გარეშე განკარგოს ყველა ის ფართი, რომელიც შ.პ.ს. „ფ.ს.გ."-ს სახელზე აისახება განშლის ოქმში.

მუხლი 5. რისკების სამართლებრივი დაზღვევა

1. მხარეები აუცილებლად მიიჩნევენ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ისეთი სამართლებრივი მექანიზმების დადგენას, რაც მაქსიმალურად დააზღვევს თითოეული მხარის რისკს და ამ გზით გაწონასწორდება მხარეთა ინტერესები.

2. მეორე მხარე ადასტურებს, რომ პირველი მხარის რისკების დაზღვევა მეორე მხარის ბიზნეს–საქმიანობის აუცილებელი და არსებითი ეთიკური ასპექტია.

3. ამ მუხლის წინა პუნქტებიდან გამომდინარე მხარეები თანხმდებიან, რომ:

ა) მეორე მხარე უძრავ ქონებაზე (რომელსაც პირველი მხარე საკუთრების უფლებით გადასცემს მეორე მხარეს) იძენს მხოლოდ შეზღუდულ საკუთრების უფლებას და მანამდე, სანამ მეორე მხარე პირველი მხარის წინაშე სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს ყველა ვალდებულებას, მეორე მხარეს არ ექნება მიწის ნაკვეთის განკარგვის უფლება პირველი მხარის თანხმობის გარეშე (ეს შეზღუდვა არ შეეხება იმ ფართებს (ბინებს), რომლებიც შ.პ.ს. „ფ.ს.გ."-ს სახელზე აისახება განშლის ოქმში).

ბ) მეორე მხარე მიწის ნაკვეთზე იძენს შეზღუდული საკუთრების უფლებას, რაც საკმარისი პირობაა საიმისოდ, რათა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ყველა სამშენებლო ნებართვა და ააშენოს შენობა-ნაგებობა.

მუხლი 6. ურთიერთობების მოწესრიგება

1. წინამდებარე ხელშეკრულების მომდევნო მუხლებით დეტალურად წესრიგდება მხარეთა ურთიერთობები იმ დებულებების შესაბამისად, რაც დადგენილია ამ ხელშეკრულების მესამე, მეოთხე და მეხუთე მუხლებით.

ნაწილი II. უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ

მუხლი 7. გარიგების საგნის შესახებ

1. პირველმა მხარემ მეორე მხარეს საკუთრებაში გადასცა – მიჰყიდა უძრავი ქონება, ხოლო მეორე მხარემ საკუთრებაში მიიღო – იყიდა ეს უძრავი ქონება.

2. უძრავი ქონება არის შემდეგი მახასიათებლების მქონე მიწის ნაკვეთი:

– სარეგისტრაციო ზონა: თბილისი, კოდი: 01;

– სექტორი: საბურთალო 10;

– მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო №882019998610 – 29.11.2019წ.

მუხლი 8. უძრავი ქონების უფლებრივი უნაკლობის შესახებ

1. უძრავი ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნის პირველ მხარეს, რაც შემოწმებული და დადასტურებულია შემდეგი დოკუმენტით:

ა) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, საკადასტრო კოდი №01.72.14.009.259.

2. პირველი მხარის განცხადებით:

ა) უძრავი ქონება არ არის სადავო, არ არის აღძრული სარჩელი მესამე პირის მიერ უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სხვა (მფლობელობის, სარგებლობის) უფლების მოპოვების მოთხოვნით.

ბ) არ არსებობს მესამე პირი, რომელსაც დასაბუთებული სამართლებრივი საფუძვლით შეიძლება ჰქონდეს რაიმე პრეტენზია უძრავი ქონების მიმართ.

3. უძრავ ქონებას არ ადევს ყადაღა. უძრავ ქონებაზე ყადაღის არარსებობის ფაქტის დასტურად პირველმა მხარემ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტი:

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, საკადასტრო კოდი №01.72.14.009.259.

4. უძრავი ქონება, რომელიც წარმოადგენს პირველი მხარის საკუთრებას, არ არის დატვირთული იპოთეკით, რაც დასტურდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტით.

მუხლი 9. უძრავი ქონების გადაცემის შესახებ

1. პირველი მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს უძრავი ქონება გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, ხოლო მეორე მხარე ვალდებულია, მიიღოს უძრავი ქონება.

2. პირველი მხარე ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულების ამოქმედებიდან სამ სამუშაო დღეში მეორე მხარეს გადასცეს დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება პირველი მხარის მიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების შესრულების, და/ან ამ ვალდებულებების არარსებობის ფაქტები.

3. პირველი მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან სამი სამუშაო დღის ვადაში გადასცეს ყველა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს უძრავი ქონების გადაცემის მომენტისათვის უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ყველა გადასახდელის (კომუნალური მომსახურების საფასური და სხვა მსგავსი გადასახდელები) დავალიანების არარსებობის ფაქტს.

4. პირველი მხარე ვალდებულია, უძრავი ქონების გადაცემასთან ერთად მეორე მხარეს გადასცეს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია უძრავ ქონებასთან (მათი არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 10. რისკისა და საკუთრების უფლების გადასვლის შესახებ

1. უძრავი ქონების შემთხვევითი განადგურების, ან შემთხვევითი დაზიანების რისკი მეორე მხარეზე გადადის უძრავი ქონების მეორე მხარის სახელზე რეგისტრაციის მომენტიდან.

2. უძრავ ქონებაზე მეორე მხარის შეზღუდული საკუთრების უფლება წარმოიშობა წინამდებარე აქტის საფუძველზე საჯარო რეესტრში მეორე მხარის რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 11. ნასყიდობის საგნის ნივთობრივი უნაკლობის შესახებ

1. პირველი მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს გადასცეს ნივთობრივად უნაკლო ნივთი. მან გამყიდველის კეთილსინდისიერებით მეორე მხარეს სრულად უნდა გააცნოს უძრავი ქონების მდგომარეობა.

2. პირველმა მხარემ განაცხადა, რომ უძრავ ქონებას არა აქვს ისეთი დაფარული ნაკლი, რაც დაუმალა მეორე მხარეს და რაც შეამცირებს უძრავი ქონების ღირებულებას.

3. მეორე მხარემ განაცხადა, რომ უძრავი ქონების მდგომარეობა მისთვის ცნობილია. მან მოიწონა ეს მდგომარეობა და თანახმაა იყიდოს იგი ისეთი სახით, რა სახითაც იგი არსებობს წინამდებარე აქტის მიღების (სანოტარო წესით დამოწმების) დღისათვის.

4. მეორე მხარემ განაცხადა, რომ უძრავი ქონება გამოსადეგია იმ მიზნისათვის, რა მიზნითაც იგი იღებს უძრავ ქონებას.

მუხლი 12. უძრავი ქონების ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლის აღმოჩენის შედეგების შესახებ

1. იმ შემთხვევაში თუ მშენებლობის დაწყებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში აღმოჩნდა, რომ მიწის ნაკვეთს გააჩნია ისეთი სახის დაფარული გამოუსწორებელი ნივთობრივი ნაკლი, რომელიც ხელს შეუშლის მშენებლობისთვის მის გამოყენებას, მხარეებს შორის განხორციელდება ორმხრივი რესტიტუცია.
2. თუ მიწის ნაკვეთზე აღმოჩენილი ნივთობრივი ნაკლი ექვემდებარება გამოსწორებას, მშენებლობისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა გადაიწევს იმ დროით რა დროც დასჭირდება ნივთობრივი ნაკლის გამოსწორებას.

ნაწილი III. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

მუხლი 13. ფართის გადაცემის შესახებ

მხარეთა შეთანხმებით, პირველი მხარის მიერ მიწის ნაკვეთის მეორე მხარისათვის გადაცემის სანაცვლოდ, მეორე მხარე იღებს შემდეგ ვალდებულებებს:

1. მიწის ნაკვეთზე აშენებულ საცხოვრებელ კორპუსებში პირველ მხარეს საკუთრებაში გადასცემს ჯამურად 4810 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართს და 15 ავტოსადგომს კორპუსის ქვემოთ, მშენებლობის ნებართვის მიღებიდან ეტაპობრივად, კორპუსების მშენებლობის პროპორციულად, არა უმეტეს იმ ვადისა, რომელიც დადგენილი იქნება მთლიანი პროექტის განსახორციელებლად მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ. ნებისმიერი გაუგებრობის გამოსარიცხად, სამომავლო საკუთრების აღრიცხვა, საკუთრების აღრიცხვა და საცხოვრებელი

ფართების ფაქტობრივი გადაცემა მოხდება პირველი მხარისთვის, როგორც ბინათმშენებლობის ამხანაგობისთვის, და არა ბინათმშენებლობის ამხანაგობის ინდივიდუალური წევრებისათვის.

2. შენობა-ნაგებობები უნდა აშენდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დამტკიცებული პროექტის მიხედვით. პროექტის შედგენისა და დამტკიცების ყველა ხარჯის გადახდა ეკისრება მეორე მხარეს. პროექტი შეთანხმებულ უნდა იქნას გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 18 თვისა. ამ ვადის გადაცილების შემთხვევაში პირველ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, მეორე მხარის თანხმობის გარეშე დაიბრუნოს მიწის ნაკვეთი.

3. შენობა-ნაგებობის მახასიათებლებს (სართულების ოდენობა, საერთო ფართი და სხვა) განსაზღვრავს მეორე მხარე თავისი შეხედულებისამებრ ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს პირველი მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი მახასიათებლების მქონე ფართის გადაცემა.

მუხლი 14. პირველი მხარისათვის გადასაცემი ბინების შესახებ

1. მეორე მხარემ პირველ მხარეს საკუთრებაში უნდა გადასცეს:

ა) ფართი, „თეთრი კარკასი", რომლის საერთო ფართი უნდა იყოს 4810 კვ. მ.

ბ) აღნიშნული ფართის გადაცემა მოხდება ეტაპობრივად დამტკიცებული პროექტის შესაბამისად;

გ) იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცებული პროექტის შესაბამისად, ბინების განლაგების გამო ან სხვა მიზეზით შეუძლებელია პირველი მხარისთვის ზუსტად (2-3 კვადრატული მეტრის ფარგლებში ნამეტი ფართის გადაცემა მოხდება უსასყიდლოდ) მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ფართის გამოყოფა, მაშინ მეორე მხარე უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ:

– განახორციელოს ფართის დამატება (შევსება) იმ ოდენობით, რაც აუცილებელია კონკრეტულ ინდივიდუალურ ფართზე რეგისტრაციისათვის ან პირიქით;

– დაუთმოს ფართი პირველ მხარეს. ასეთ შემთხვევაში დამატებითი შევსებული ან დათმობილი ფართის ღირებულება განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

2. პირველი მხარისათვის ფართის გადაცემა მოხდება უძრავი ქონების გადაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით – ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადებით.

3. წინამდებარე ხელშეკრულების ნორმები, რომლებიც ებება ამ მუხლის წინა პუნქტებში მითითებულ ვალდებულებებს, წარმოადგენს უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების ნორმებს.

მუხლი 15. პირველი მხარისათვის გადასაცემი ფართის მდგომარეობის შესახებ

1. ფართი უნდა გადაეცეს „თეთრი კარკასის" შემდეგ მდგომარეობაში:

გარე პერიმეტრზე ჩასმული მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები, შესასვლელი რკინის კარი (ურდულით, საკეტით) დამონტაჟებული, (ტიხრები (შიდა კედლები) ამოშენებული საკედლე ბეტონის ბლოკით; კედლები და ტიხრები გაჯით გალესილი, ელექტრო შიდაგაყვანილობით ყოველ ოთახში (აბაზანა, ტუალეტი) არანაკლებ 3 წერტილისა (პირველი მხარის სურვილის შესაბამისად), იატაკი მოშანდაკებული ცემენტის ხსნარით. წყალსადენის, კანალიზაციის ცენტრალური დგარები დამონტაჟებული. ელმომარაგების, წყალმომარაგების ქსელებში ჩართვის, გამრიცხველიანებისა და აბონირების სამუშაოებს აწარმოებენ შესაბამისი სამსახურები და მეორე მხარე ანგარიშსწორებას აწარმოებს უშუალოდ ამ სამსახურებთან. ელმომარაგების წყალმომარაგების და გაზიფიცირების გამრიცხვიანელობას და აბონენტად აყვანას ახდენს მესაკუთრე

მუხლი 16. პასუხისმგებლობის შესახებ

1. მეორე მხარე პირველი მხარის წინაშე უშუალოდ აგებს პასუხს ფართის ხარისხზე, შენობა-ნაგებობის პროექტთან და სტანდარტებთან შესრულებული სამუშაოს შესაბამისობაზე, დადგენილ ვადაში შესრულებაზე, მიუხედავად იმისა, მშენებლობას უშუალოდ მეორე მხარე წარმართავს თუ მის მიერ შერჩეული მესამე პირი.

2. შენობა-ნაგებობა უნდა აშენდეს იმ მასალით, რომელსაც შეარჩევს მეორე მხარე შენობა-ნაგებობის პროექტის შესაბამისად. ამასთანავე, მეორე მხარე პასუხს აგებს უხარისხო სამშენებლო მასალების გამოყენებისათვის.

მუხლი 17. ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადების ვადის შესახებ

1. მეორე მხარე ვალდებულია, პირველ მხარეს გადასცეს სტანდარტებისა და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ფართი. თუ ფართის მახასიათებლები არ შეესაბამება სტანდარტებსა და წინამდებარე

ხელშეკრულებით დადგენილ პირობებს, მეორე მხარე ვალდებულია გონივრულ ვადაში თავისი ხარჯით აღმოფხვრას ნაკლი. თუ აღნიშნული ვადა უშედეგოდ გავიდა, მეორე მხარე ვალდებულია პირველ მხარეს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.

2. პირველი მხარე ვალდებულია, მიიღოს ბინა.

3. შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციაში მიღებულ უნდა იქნას და ფართი პირველ მხარეს (მისგან უფლებამოსილ პირებს) უნდა გადაეცეს მშენებლობის პროექტის დამტკიცებიდან და მშენებლობის ნებართვის გაცემიდან ეტაბობრივად 4810 კვ.მ. „თეთრი კარკასი" და 15 ავტოსადგომი კორპუსის ქვემოთ.

დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს ეკისრება პირველი მხარის (უფლებამოსილი პირების) სასარგებლოდ საურავის გადახდა ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,15 (ნოლი მთელი და თხუთმეტი მეასედი) პროცენტის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე გადახდის ვალდებულების წარმოშობიდან ორ თვეში სრულად არ გადაიხდის დარიცხულ საურავს, პირველ მხარეს უფლება აქვს, მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. სამშენებლო და საპროექტო (განაშენიანების რეგულირების გეგმა, პროექტი, ნებართვა) ვადად განისაზღვროს 18 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პირველ მხარეს უფლება ექნება ცალმხრივად - მეორე მხარის თანხმობის გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება და დაიბრუნოს მიწის ნაკვეთი.

4. თუ ამ მუხლის წინა პუნქტში მითითებულ ვადაში მეორე მხარემ ვერ ააშენა ფართი და ვერ გადასცა პირველ მხარეს, პირველ მხარეს უფლება აქვს:

ა) ფართის სანაცვლოდ მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია ფართის საბაზრო ღირებულებით. მხედველობაში მიიღება კომპენსაციის გადახდის დღისათვის არსებული საბაზრო ღირებულება. ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნის წერილობითი წარდგენიდან გონივრულ ვადაში, მხარეთა შეთანხმებით.

ბ) მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა (მიწის დაბრუნება) და უფლებამოსილია დაიტოვოს პირგასამტეხლოს ანგარიშში უძრავ ქონებაზე განხორციელებული ნებისმიერი გაუმჯობესება (აშენებული და/ან დაუმთავრებელი შენობა–ნაგებობა. მშენებლობა). ამ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით მეორე მხარე იღებს ვალდებულებას და ვალდებულია პირველ მხარეს დაუტოვოს უძრავ ქონებაზე შესრულებული გაუმჯობესება (აშენებული და/ან დაუმთავრებელი

შენობა-ნაგებობა, მშენებლობა) ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე პირგასამტეხლოს ანგარიშში.

5. შენობა-ნაგებობის ექსპუატაციაში მიღების ხარჯი ეკისრება მეორე მხარეს.

ნაწილი IV. მხარეთა რისკების სამართლებრივი დაზღვევის შესახებ

მუხლი 18. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შეზღუდვის შესახებ

1. მეორე მხარე უძრავ ქონებაზე იძენს შეზღუდულ საკუთრების უფლებას, კერძოდ: მეორე მხარის მიერ პირველი მხარისათვის ფართის გადაცემამდე მეორე მხარეს არ აქვს უფლება, პირველი მხარის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობის გარეშე გაასხვისოს ან იპოთეკით დატვირთოს პირველი მხარისგან მიღებული უძრავი ქონება, ამასთანავე, მეორე მხარეს აქვს უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის მეზობელ (მიმდებარე) მიწის ნაკვეთთან გაერთიანების უფლება.

2. ამ მუხლის წინა პუნქტით დადგენილი ნორმის რეალიზაციის მიზნით საჯარო რეესტრში გაკეთდება ჩანაწერი, სადაც მიეთითება ამ მუხლის წინა პუნქტით დადგენილი შეზღუდვა.

3. ამ მუხლის წინა პუნქტით დადგენილი შეზღუდვა საჯარო რეესტრიდან ამოიშლება ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტის საფუძველზე:

ა) მხარეთა ერთობლივი აქტი, დამოწმებული სანოტარო წესით;

ბ) პირველი მხარის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა (განცხადება);

გ) სასამართლოს გადაწყვეტილება (დავის შემთხვევაში);

დ) ამ მუხლის პირველ და მეორე მუხლში მითითებული შეზღუდვების მოშლის/გაუქმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულების შესრულება მხარეთა მიერ. ამ ხელშეკრულებით დადგენილი (მე-13 მუხლის 3 პუნქტი) მშენებლობის პროექტის შეთანხმების ვადის უშედეგო გასვლა, ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადება, ან სასამართლოს გადაწყვეტილება (მხარეთა შორის დავის შემთხვევაში)

ე) მხარეებს/ ერთობლივად უფლება აქვთ, ამ მუხლის „დ" პუნქტით დადგენილ შემთხვევაში საჯარო რეესტრს წარუდგინოს განცხადება და მოითხოვოს საჯარო რეესტრიდან უძრავ ქონებასთან დაკავშირებული შეზღუდვების (მითითებული ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში) ამოშლა. ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს სხვა დამატებითი დოკუმენტის წარდგენის გარეშე.

მუხლი 19. პირველი მხარის უფლების უზრუნველყოფის შესახებ

1. მხარეთა შეთანხმებით, პირველი მხარის უფლებების უზრუნველსაყოფად უნდა გაკეთდეს წინასწარი ჩანაწერი საჯარო რეესტრში. წინასწარი ჩანაწერის სახით მიეთითება, რომ მეორე მხარეს აქვს ვალდებულება, ფართი საკუთრებაში გადასცეს პირველ მხარეს. ასევე უნდა მიეთითოს ამ ვალდებულების წარმოშობის საფუძველი (წინამდებარე აქტის რეკვიზიტები).

2. ამ მუხლის წინა პუნქტში მითითებული წინასწარი ჩანაწერი უნდა შესრულდეს გონივრულ ვადაში იმ დღიდან, როცა მეორე მხარე უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელ სამშენებლო-არქიტექტურული დოკუმენტების მომზადებასა და რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. ამასთანავე, წინასწარი ჩანაწერი უნდა შესრულდეს სამშენებლო-არქიტექტურული დოკუმენტების დამტკიცებიდან ეტაპობრივად, კორპუსების მშენებლობის პროპორციულად, არა უმეტეს იმ ვადისა, რომელიც დადგენილი იქნება მთლიანი პროექტის განსახორციელებლად მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ.

3. წინასწარ ჩანაწერში სხვა აუცილებელ მონაცემებთან ერთად უნდა აღინიშნოს ფართის ზუსტი ადგილმდებარეობა – სართული, ნომერი და ფართის ზუსტი ფართობი. ფართის ადგილდებარეობის შესახებ მხარეები შეთანხმდებიან დამატებით.

ნაწილი V. ვალდებულებათა გაქვითვის წესის შესახებ

მუხლი 20. ვალდებულებათა გაქვითვის შესახებ

1. წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტების შესაბამისად ხდება მხარეთა ურთიერთვალდებულებათა გაქვითვა ამ მუხლის მომდევნო პუნქტით დადგენილი წესით.

2. წინამდებარე ხელშეკრულების ამოქმედების მომენტიდანვე ითვლება, რომ:

ა) მეორე მხარემ პირველ მხარეს სრულად გადაუხადა უძრავი ქონების ნასყიდობის ფასი;

ბ) პირველმა მხარემ მეორე მხარეს ავანსის სახით სრულად გადაუხადა შესასყიდი (ასაშენებელი) ბინის ფასი.

3. ფულადი ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის შედეგად მეორე მხარეს პირველი მხარის მიმართ შესასრულებელი რჩება შემდეგი ვალდებულება:

ფართის აშენება შეთანხმებულ ვადასა და შეთანხმებული ხარისხით და მათი გადაცემა საკუთრებაში პირველი მხარისათვის.

4. ამ მუხლის წინა პუნქტებიდან გამომდინარე, პირველ მხარეს მეორე მხარის მიმართ არ ეკისრება რაიმე ვალდებულების შესრულება, ხოლო მეორე მხარეს ეკისრება ამ მუხლის წინა პუნქტში მითითებული ვალდებულების შესრულება.

ნაწილი VI. დასკვნითი დებულებების შესახებ

მუხლი 21. ხელშეკრულების ამოქმედების შესახებ

1. ეს ხელშეკრულება ძალმოსილებას იძენს მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და ძალაშია მხარეთა ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

2. ამ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა არ ნიშნავს ხელშეკრულების იმ მუხლების გაუქმებას, რომლითაც დადგენილია მხარეთა პასუხისმგებლობა.

მუხლი 22. პირველი მხარის ჩანაცვლების შესახებ

1. პირველი მხარის ყველა უფლება-მოვალეობა, დადგენილი წინამდებარე ხელშეკრულებით, გადადის მემკვიდრეობით.

2. ამ მუხლის წინა პუნქტით დადგენილ შემთხვევაში წინამდებარე აქტით დადგენილი პირობები უცვლელი რჩება.

მუხლი 23. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ

1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის დაუძლეველ ძალთა ზეგავლენის გამო.

2. წინამდებარე ხელშეკრულებისათვის დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებას, რომელიც წარმოიშობა მხარეთა ნების გარეშე, რომლის დადგომის და მოქმედების გაკონტროლება აღემატება მხარეთა შესაძლებლობებს და რომელიც შეუძლებელს ხდის რომელიმე მხარის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებას. დაუძლეველი ძალა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, სტიქიური უბედურებებით, მიწისძვრებით, საომარი მოქმედებებით, ხელისუფლების აქტებით. ასეთი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს აღნიშნული გარემოებების არსებობის პერიოდით

მუხლი 24. დასკვნითი დებულებანი

1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სასამართლოების მიერ, თუ მხარეები დამატებით არ შეთანხმდებიან დავის არბიტრაჟით გადაწყვეტის შესახებ.

2. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ყველა პირობა არის კონფიდენციალური. აკრძალულია რომელიმე მხარის მიერ ამ პირობების გამჟღავნება მესამე პირისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ამ ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანი ექვემდებარება სრულ ანაზღაურებას.

მხარეები:

პირველი მხარე:

ე.ს. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ეკო დიღომი"-ის წარმომადგენლები:

ამხანაგობის თავჯდომარე: ც. ფალავანდიშვილი

გამგეობის წევრები: ზ. გურასაშვილი

გ. კალანდაძე

მეორე მხარე:

შპს ,,ფ.ს.გ."

დირექტორი ზ. ფირცხალაიშვილი

18. დეკემბერი 2019 წ.

ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ეკო დიღომის" გამგეობის და ამხანაგობის წევრთა საერთო კრების

ო ქ მ ი

ქ. თბილისი 13 დეკემბერი 2019 წელი

კრებას ესწრებოდა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ეკო დიღომის" წევრთა სრული შემადგენლობა (100%)

კრებას თავმჯდომარეობდა: ამხანაგობა „ეკო დიღომის" თავმჯდომარე ციცინო ფალავანდიშვილი.

მდივანი: გულნაზი ნიკოლიშვილი.

დღის წესრიგი:

შ.პ.ს. „ფ.ს.გ."-თან (ს/ნ 406140297) ხელშეკრულების გაფორმება ნასყიდობისა და წინარე ნასყიდობის შესახებ (უძრავი ქონების შეზღუდულ საკუთრებაში და სანაცვლოდ ახლადაშენებული ბინების გადაცემის შესახებ) (მომხს. ც. ფალავანდიშვილი)

კრებამ ერთხმად დაადგინა:

1. გაფორმდეს შ.პ.ს. „ფ.ს.გ."-თან ხელშეკრულება ნასყიდობისა და წინარე ნასყიდობის შესახებ (უძრავი ქონების შეზღუდულ საკუთრებაში და სანაცვლოდ ახლადაშენებული ბინების გადაცემის შესახებ), რომლის მიხედვითაც ამხანაგობა „ეკო დიღომი" შ.პ.ს. „ფ.ს.გ."-ს საკუთრებაში გადასცემს უძრავ ქონებას, მდებარე თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-12 კმ (ნაკვეთი 009/259) საკადასტრო კოდი 01.72.14.009.259 გადაცემული უძრავი ქონების სანაცვლოდ შ.პ.ს. „ფ.ს.გ." ამხანაგობა „ეკო დიღომს" საკუთრებაში გადასცემს ახლადაშენებულ ბინებს ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და ოდენობით.

კრების თავმჯდომარე: ციცინო ფალავანდიშვილი პ/ნ 01021004810

კრების მდივანი: გულნაზი ნიკოლიშვილი პ/ნ 01011062804

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შემოვიდა
თარიღი "18" დეკემბერი 2019წ.
ბა.რეგისტრაცია 01 ხელმოწერა

10177,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, მდებარე ქ. თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-12 კმ, საკადასტრო კოდი 01.72.14.009.259 მიერ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის დამფუძნებელთა კრების

ოქმი

ქ. თბილისი
15:00 საათი
შარტავას ქ.

27 ნოემბერი 2019წ.

კრების თავმჯდომარე: ნუნუ ხოჯაკაძე (პ/ნ 01010559801)
კრების მდივანი: ნატო კალანდაძე (პ/ნ 01030035128)

კრებას ესწრებოდნენ:

ჯულიეტა ჯაფარიძე	01010003671	ომარ თოთაძე	01007004725
გულნაზი ნიკოლიშვილი	01011062804	ლიანა კვირკველია	01027013638
მედეა დოზაძიშვილი	23001012657	ავთანდილ ევგენიძე	01009003908
თამაზ ჩიქოვანი	65002006230	ნუნუ ხოჯაკაძე	01011055980
მიხეილ სამადაშვილი	01030000332	თეა მელაშვილი	01012009112
ნანული ნებიერიძე	01011053276	ნანა საბაშვილი	01019045791
ქეთევან თავართქილაძე	01019012282	რამაზ საბაშვილი	01022007664
მარიამ გულისაშვილი	01022013311	ნატალია საბაშვილი	01023011132
ნუნუ გაგნიძე	01006019730	პაატა კაკუნაშვილი	01030043747
ზაურ თურმანიძე	01014002927	ვალერი ვირაბიანი	01027016956
თეიმურაზ გიგოლაშვილი	01033007422	ელგუჯა გორგოძე	01019022667
ლალი ჯაფარიძე	01001008578	დავით ბაკურაძე	01002017101
მარინე მამუჩარაშვილი	01019025633	ნაირა კორძაძე	01012026853
ციცინო პაპუაშვილი	01001000092	ნაზიბროლა შატბერაშვილი	01015023884
დალი სეთურიძე	16001003464	ელენა ლებანიძე	01006017990
ზურაბ ონიანი	01027009579	მარინა შანგუა	01002028418
ნოდარ ნათუნაძე	07001031524	ხათუნა ბეწდიანიშვილი	57001028936
ალექსანდრე ბალარჯიშვილი	01013007284	მარინა დავარ	01201137786
მარინე სირბილაძე	01029004045	ნინა რეხვიაშვილი	01027028088
მარინე ჩინჩალაძე	01002011050	ოლენა გახოკია	48001021049
ეთერი ხადური	01001026313	მევლუდი არსენიძე	01024056453
ნონა ლომსაძე	01003018579	ციცინო ფალავანდიშვილი	01021004810
ლილი მოდებაძე	01006002939	ნათია გრიგორიანი	01027033729
ნატო კალანდაძე	01030035128	ზურაბ გურასაშვილი	01030001125
გურამ ხაჩირაშვილი	01030023950	გრიგოლ კალანდაძე	01002006868
კახა ლომიტაშვილი	01023008554	ელენე შარაშენიძე	01001043162
ანზორი ტაბატაძე	01011022868	ნელი იზორია	37001023855
გულნარი ფოფხაძე	01015005262	მარინე ჩომახიძე	59002006458
ალიკო გალდავა	01015020249	ლამარა გოგოლაური	01027085752
შალვა ტყემალაძე	01018005473	ნინა გაგნიძე	01017032457
მარინე ბალახაძე	01027007010	გიორგი ჭანტურია	01017003628
მარინე ცარციძე	01019040895	თეიმურაზ კერესელიძე	01020016421
რამაზი ნემსიწვერიძე	01019031373	ნოდარ ხიზანიშვილი	01006004968
მზია მაღრაძე	01012026505	გიორგი ლაბაძე	54001051099
ინა ჯინჭარაძე	61004069284	ზაზა ნიშნიანიძე	01017011184

ბრძანება №

ქალაქ ბათუმში ტრანსპორტის ნებართვების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2 ნოემბრის 2010 წლის №

დღის წესრიგი:

1) ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის დაფუძნება, ხელშეკრულების (დებულების) განხილვა, შეთანხმება და მასზე დამფუძნებელ წევრთა ხელმოწერათა დამტკიცება ნოტარიული წესით (მომხს. ციცინო ფალავანდიშვილი)

2) ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა (მომხს. ნუნუ ხიჯაკაძე)

3) ამხანაგობის გამგეობის არჩევა (მომხს. მარინე სირბილაძე)

4) ერთობლივი საქმიანობის ბინათმშენებლობის ამხანაგობაში 10177.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.72.14.009.259) შენატანის განხორციელების შესახებ (მომხს. ციცინო ფალავანდიშვილი).

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს ციცინო ფალავანდიშვილის ინფორმაცია ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის დაფუძნების შესახებ, მან მოკლედ მიმოიხილა ყველა ის საკითხი, რაც წინ უძღოდა აღნიშნული ნაკვეთის დაკანონებას, იმისათვის, რომ მიღწეული ჰქონოდა საბოლოო შედეგი, ანუ მოხდეს მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება, უნდა ჩამოყალიბდეს (დაფუძნდეს) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზებული გაერთიანება. მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-940-ე მუხლების საფუძველზე ჩამოყალიბდეს ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა და დავამტკიცოთ ამხანაგობის ხელშეკრულებებზე (დებულებებზე) ხელმომწერი დამფუძნებელი წევრები.

აზრი გამოთქვეს: ვალერი ვირაბიანმა, გულნაზი ნიკოლაიშვილმა და სხვებმა, რომლებმაც მოიწონეს გამოთქმული მოსაზრებები და წამოაყენეს წინადადება, რომ ამხანაგობას ეწოდოს „ეკო დიღომი“. კრების თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებებს, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული და

დაადგინეს:

1) საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დაფუძნდეს ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ეკო დიღომი“ და დამტკიცდეს წარმოდგენილი ამხანაგობის ხელშეკრულება და მასზე ხელმომწერი დამფუძნებელი წევრები:

ა) ერთობლივი საქმიანობის ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ეკო დიღომი“-ის დამფუძნებლები არიან:

ჯულიეტა ჯაფარიძე	01010003671	ომარ თოთაძე	01007004725
გულნაზი ნიკოლაიშვილი	01011062804	ლიანა კვირკველია	01027013638
მედეა დოლაძიშვილი	23001012657	ავთანდილ ევგენიძე	01009003908
თამაზ ჩიქოვანი	65002006230	ნუნუ ხიჯაკაძე	01011055980
მიხეილ სამადაშვილი	01030000332	თეა მელაშვილი	01012009112
ნანული ნებიერიძე	01011053276	ნანა საბაშვილი	01019045791
ქეთევან თავართქილაძე	01019012282	რამაზ საბაშვილი	01022007664
მარიამ გულისაშვილი	01022013311	ნატალია საბაშვილი	01023011132
ნუნუ გაგნიძე	01006019730	პაატა კაკუნაშვილი	01030043747
ზაურ თურმანიძე	01014002927	ვალერი ვირაბიანი	01027016956
თეიმურაზ გიგოლაშვილი	01033007422	ელგუჯა გორგოძე	01019022667
ლალი ჯაფარიძე	01001008578	დავით ბაკურაძე	01002017101
მარინე მამუჩარაშვილი	01019025633	ნაირა კორძაძე	01012026853
ციცინო პაპუაშვილი	01001000092	ნაზიბროლა შატბერაშვილი	01015023884
დალი სეთურიძე	16001003464	ელენა ლებანიძე	01006017990
ზურაბ ონიანი	01027009579	მარინა შანგუა	01002028418
ნოდარ ნათენაძე	07001031524	სათუნა ბენდიანიშვილი	57001028936
ალექსანდრე ბალარჯიშვილი	01013007284	მარინა დავარ	01201137786
მარინე სირბილაძე	01029004045	ნინა რეხვიაშვილი	01027028088
მარინე ჩიჩჩალაძე	01002011050	ოლეგა გახოკია	48001021049
ეთერი ხადური	01001026313	მევლუდი არსენიძე	01024056453

ამ ქალაქის მოსახლეობა ძალიან მრავალრიცხოვანია.

ეს ფაქტი ყველას კარგად უნდა ესმოდეს.

ჩვენ ამ ფაქტის გათვალისწინებით უნდა ვიმოქმედოთ.

ამ ფაქტის გამო ბევრი ადამიანი ნერვიულობს

ნონა ლომსაძე	01003018579	ციცინო ფალავანდიშვილი	01021004810
ლიკა მოდებაძე	01006002939	ნათია გრიგორიანი	01027033729
ნატო კალანდაძე	01030035128	ზურაბ გურასაშვილი	01030001125
გურამ ხაჩირაშვილი	01030023950	გრიგოლ კალანდაძე	01002006868
კახა ლომიტაშვილი	01023008554	ელენე შარაშენიძე	01001043162
ანზორი ტაბატაძე	01011022868	ნელი ონორია	37001023855
გულნარი ფოფხაძე	01015005262	მარინე ჩომახიძე	59002006458
ალიკო გალდავა	01015020249	ლამარა გოგოლაური	01027085752
შალვა ტყემალაძე	01018005473	ნინა გაგნიძე	01017032457
მარინე ბალახაძე	01027007010	გიორგი ჭანტურია	01017003628
მარინე ცარციძე	01019040895	თეიმურაზ კერესელიძე	01020016421
რამაზი ნემსიწვერიძე	01019031373	ნოდარ ხიზანიშვილი	01006004968
მზია მადრაძე	01012026505	გიორგი ლაბაძე	54001051099
ინა ჯინჭარაძე	61004069284	ზაზა ნიშნიანიძე	01017011184

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით ქ-მა ნუნუ ბოჯაკაძემ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ეკო დიღომი"-ს თავმჯდომარედ დაასახელა ციცინო ფალავანდიშვილის კანდიდატურა.

